# ფშავის ხევიდამ

სოფელი ჩარგალი, 1 მარტს

(1879 წელი)

თებერვლის ათს, პირის დაბანის შემდეგ, ვიჯექი წყნარად გახურებული მობუხრულზე ბუხრის წინ თავის თავით დაკმაყოფილებული, როგორც კაცი გრძნობს სოფელში, და ჩაფიქრებული ჩავყურებდი მოტკაცუნე ნაკვერჩხლებს. ამ დროს, გარეთხმაურობამ მიიქცია ჩემი ყურადღება; ამისთვის სიჩქარითშემოვიცვი ჩოხა და გავემართე იმ გროვა ხალხისკენ, რომელიც დავინახე სკოლის წინ, მეც საჩქაროთმივმართე იმ გროვას, რადგანაც მსურდა შემეტყო საგანი იმათ ლაპარაკისა, რომელზედაც ასე გულგახურებულნი ლაპარაკობდნენ იქ მდგომნი ფშაველები. საჩქაროზედ მივირბინე და დავინახე იქ სკოლის მასწავლებლები, ერთი უცნობი მღვდელი და თანეთის უეზდის პრისტავი თავისი ჩაფრებით. ამათყველას ეტყობოდათ რამდენადაც მე შევატყვე, რომ ესენი იყვნენ მოწოდებულნი რომელიმე ყურადღება მისაქცეველი საქმისთვის.

მართლაც, რომ ამ აზრში არ მოვსტყუვდი, რაკი რომ მივაქციე ყურადღება მათ ლაპარაკს, რომელიც უფრო მასწავლებელს ეკუთვნოდა.

- ძმანო, ამბობდა მასწავლებელი, ძალიან საჭიროა და მასთან სასარგებლოც იქნება თქვენთვის, რომ თქვენი ქალებიც შემოიყვანოთსკოლაში, სადაც, გარდა წიგნისა, ისწავლიან ხელსაქმესაც, რომლითაც ბევრსარგებლობას მოუტანენ ოჯახს და თავის შვილებსაცაო!

ამის გარდა ეუბნებოდა ბევრ სხვასაც, რომლითაც ნამდვილს და ჭეშმარიტს სარგებლობას უჩვენებდა მათ.. რაკი რომ გაიგონა ხალხმა ეს სიტყვები, მაშინვე იმათ სირცხვილის ალმურმა გადაჰკრა ამ მოულოდნელმა კითხვამა. თუმცა არა იყო რა ამათთვის სასირცხვილო, მაგრამ ეტყობოდათ რომ სხვის მაგივრადსცხვენოდათ

ამ კითხვაზედ(ანუ უკეთ ვსთქვათ რჩევაზედ) წამოატყაპდა რამდენიმე ფშაველი:

- ეგ სუყველა მართალია, შენი ჭირიმე, ბატონო, მაგრამ რა უნდა ჰქნას ჩვენფერმა გლეხმა და მემრე მთის კაცმა?
- როგორ გაუძლევით ან სახელმწიფოს სამსახურს, ან თავი რითა ვირჩინოთ შენი ჭირიმე?!
- ერთი, ორიოდე ცხვარ-ძროხა გვიგდია, ჩვენს იმის ამარასა ვყრივართ, იმასაც მგელი და გვიჭამს უმწყემსოდ აბა მაშინ რაღა ვქონდეთ, უფრო ბევრი არ დაგვაკლდება?!
- თუარა განა ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენმა შვილმა ისწავლოს რამე..
- თქვე დალოცვილებო, დაიწყებთ საუბარს თავის წვერაზე; ან კი რა დაგეხარჯებათ რომ ერთი ორი მშრალი სიტყვა გვითხრათ?
- თქვენ ისე მოგდით ერთი ანდაზისა არ იყოს „ვინც წისქვილს იყო ფქვავდაო, ვინ არა იკითხავდაო", თქვენი საქმეც სწორედისე არის: მუქთაზედა ლეიბზედა გორავთ, არა გაწუხებსთ რა, არა გიჭირსთ რა, სასმელ-საჭმელი მზადა გაქვსთ და ჩვენზედკი არა ფიქრობთ, რომ ვერც კი ვიგებთ სად გვითენდება და სად გვიღამდება. არა, შენი ჭირიმე, ჩვენს კაცს ეგ არ გამოადგება, რა გინდა რა იქნას!

ამგვარი, კიდევ სხვა ბევრი ამოვიდა იმათ პირიდამ, მაგრამ კიდევ რაღაც იჭვნეულობა გამოსჩნდა მათ შავი პირბადიდგან, რომელიც უფრო აბნელებდა მათში დაფარულს აზრს. მე ვატყობდი ამასა და მოველოდი მზესა, რომელსაც გაენათლებინა მათი სახე და სუყველა ცხადადგამოჩენილიყო. ეს მზე ამოვიდა,

როდესაც პრისტავმა ჰკითხა ხალხს: „სწორეთქვით რა მიზეზია თქვენი ურყოფლობისა, რომ ნამდვილად ვიცოდეთ და იმის შესაფერისი შემწეობა მოგცეთ!“

მაშინ ხალხიდამ გამოვიდა ერთი დროული კაცი ხელჯოხიანი, რომელიც არჩევდა მას სხვებისგან; მისი ჭაღარა წვერი და შემჭკნარი, გრძნობით სავსე პირის სახეზედ ეტყობოდა კვალი ბევრ გვარის ცვლილებისა, რომელსაც მოუხარა ის წელში და მიეცა მისთვის უნდომლად ჯოხი, რომ დაეჭირა იმის დასუსტებული ტანი. ეს პატივსაცემი სამკაული ხდიდა მას, რომ ყველას მოუმინა მისი ლაპარაკი, რომელიც დაიწყო მან:

- ჩვენ მიზეზი ბევრი გვაქვს, შენი ჭირიმე, მაგრამ რა საჭიროა, რომ ვსთქვათ ან თუნდაც კიდეცა ვსთქვათ იმით ჩვენ რა გვეშველებაო. და ამას კი გეტყვით რომ ნეტავი იმ ქალებსაც არ ევლოთ უჩიტლებთანა, ვინამც იარესო, არამთუ ახლა სხვებიც არ ვაძლიოთო!
- რაორა ამბავიაო?! - შეჰყვირა პრისტავმა.
- ის ამბავი შენი ჭირიმე, აბა გაიარე ა... ბ.. ჰკითხე და ის თვითონ გეტყვისთ იმის ქალმა იარა ემანდ უფრონაქებს უჩიტელთან, რომ გარყვნა; ატყუა ხან რა, ხან რა... „ეს ცოლად შეგირთავ, ეს იმას გიზამ, ამასაო,“ და მართლაც როკაი საქმე უყო! ჯერ ჩვენში არ გაგონილა და არც თქმულა რო ფშავის ხევიდამ ქალი წასულიყოს და იმას კი...
- ეგ, რა უყოთ, კაციც კაცია!- გააწყვეტინა ახლომდგომარე კაცმა. რაკი რომ ამ კაცმა ენა დასძრა, მაშინ თითქმის ყველა ვინც კი იქ იყვნენ ფშავლები, ყველანი ასტყდნენ:
- ე, შენ რაღა გეთქმევა შე დალოცვილო! ემანდ უჩიტელი არ იყო, როდა გინათლავდა და შენს ქალს ნაბუშარი გააგდებინა, ქალი კარზედ მოგიგდოდა თვითონ კი დაიკარგა. ემასა ვხედავთ ბატონო, რომ ნასწავლები ამასა ჩადიან, და ახლა ჩვენი შვილის მაგას ისწავლის. აი კარგა დავსცადეთ ჩვენა რო სკოლიდამ გამოსული შვილები ჩვენ აღარ გვადგებიან; საქმეზე იმათ არ მისდევსთ გული, სახლზედ იმათ არ მისდევსთ გული შენი ჭირიმე. ამპარტავდებიან და აღარც იმდენი იციან, რომ ცოდნით თავი შეინახონ. აბა რა უყოთ ემასა ვხედავთ შენი ჭირიმე, და ემას ვამბობთ ჩვენ შვილებს ველარ განდობთ!

რასაკვირველია, ამ სიტყვების გაგონებაზედ ყველას ენა შეეკრა და მასწავლებელიც იძულებული შეიქნა ხალხისთვის მალე დაეტანებინა.